№ 237
სამშაბათი, 31 ოქტომბერი, 1900 წ.

1877 — 1900

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მ. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 6 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 7 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 237
სამშაბათი 31 ოქტომბერი, 1900 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაგარეგლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 31 ოქტომბერს,

ალექსანდრე ივანეს ძის ბაქრაძის

გარდაცვალების მეცხრე დღეს, იქნება წირვა და შემდეგ წირვისა პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში განსვენებულის სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყობა დილის 10 საათზედ.

(1—218—1)

## ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში

**მოწვეულია ახალი მკერვალი ქალი, ვენის სამკერვალო აკადემიის დიპლომით.**

მიიღებენ ყოველ გვარ მოსართავ საკერავებს, აასრულებენ ჩინებულად და საჩქაროდ.

ქართული კაბებისათვის ცალკე მოწვეული მცოდნე მკერვალი ქალი.

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები,** თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე,** ისე **სარჩულები.** იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—6.—42) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

1900 წლის 22 ოქტომბერს შესდგა პირველი საზოგადო კრება ივანე ალექსანდრეს ძის თაიროვისა, კონსტანტინე მიხეილის ძის ალიხანოვისა და ძმათა ედუარდ და ჰენრიხ ტოლლეთა მიერ დაარსებულ „ერბოსი, საპნისა და სანთლის მკეთებელ ქარხანათა სააქციონერო საზოგადოებისა, რომელიც წინად თაიროვისა, ალიხანოვისა და ტოლლესი იყო“. **გამგეობის წევრებად** არჩეულ იქმნენ: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კანდიდატი **ივანე ალექსანდრეს ძე თაიროვი,** საფრანგეთის მოქალაქე **ჰენრიხ ავგუსტის ძე ტოლლე,** ტიტულიარნი სოვეტნიკი **გიორგი ბოღდანის ძე ტერ-ასატუროვი.** კანდიდატად: აზნაური **გრიგოლ სოლომონის ძე აკიმოვი.** სარევიზიო კომისიის წევრებად: **ე. ე. აკიმოვი, მ. მ. ბერენსი, ვ. ბ. პოპოვი.**

გამგეობის თავმჯდომარე ი. თ ა ი რ ო ვ ი.

გამგეობის წევრნი: ჰ. ტოლლე,

(2—217—2) გ. ტერ-ასატუროვი.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

**მიხეილ გედევანიშვილისა**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Ворoцову.

ს ა ჭ ი რ ო ა

მოსამსახურე-ბიჭი

12—13 წლისა. იკითხონ „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოზის ქ. № 21.

(4—უ.—4)

## ახალი ამბავი

*** გზათა სამინისტრომ გამოაქვეყნა: „რადგანაც ამ ბოლოს დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზედ უწესოება და უბედურება რამდენჯერმე მოხდა და აუცილებლივ საჭიროა დაწვრილებით გამორკვეულ იქმნეს ახალს გზებზედ მუშაობის საქმე რა მდგომარეობაშია და რა მდგომარეობაშია აგრეთვე კავკასიის გზა-ტკეცილები, გზათა სამინისტრომ გარდასწყვიტა ტაინი სოვეტნიკის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია გაჰგზავნოს კავკასიაში. კომისია იგზავნება იმად, რომ ადგილობრივ ყოველმხრივ გამოიკვლიონ, სამინისტროს გამგებლობის ქვეშე მყოფი რკინის გზები და გზა-ტკეცილები რა მდგომარეობაშია, რომ, შემდეგ ამ გამოკლევისა, კავკასიის რკინის გზებსა და გზა-ტკეცილებზედ ისეთი ღონის-ძიებანი იქმნენ მიღებულნი, რომელნიც ადგილობრივს მოთხოვნილებას უფრო შეეფერებიან“.

*** კავკასიის სამთო სამმართველოს გამგეობის ინჟენერს ნ. ი. ლებედევს, რომელიც პარიჟის გამოფენაზედ ალპინისტთა კრებაზად რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წარმომადგენლათ იყო, განზრახვა აქვს რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების კავკასიის განყოფილების კრებაზედ წევრებს გამოფენის ის მოხსენებანი გააცნოს, რომლებიც კავკასიასა და მის ახლო-მახლო ქვეყნებს ეხებიან.

*** როგორც ადგილობრივი გაზეთები იწერებიან, ტფილისის საფიზიკო ობსერვატორიის მხოლოდ ერთი ნაწილი, სახელდობრ, სამაგნიტო განყოფილება თურმე გადააქვთ მცხეთაში.

*** ნოემბრის პირველს რიცხვებში ტფილისსა და ბაქოში ცნობილს პარიჟელს მდიდარს, ა. როტშილდს მოელიან.

## ფელეტონი

### ე ლ ე ნ ე

(ამბავი ქართველ მაჰმადიანების ცხოვრებიდგან)

(დასასრული *)

### IX

გავიდა ორი წელიწადი ელენეს სიკვდილის შემდეგ. ლავრენტის სამსახურის ვადა გაუთავდა და შინ წასვლა დააპირა თავისს მოხუც მშობლებთან. ერთს საღამოს მივიდა ელენეს საფლავთან, რომელსაც უნდოდა გამოსთხოვებოდა და ერთხელ კიდევ დაეფრქვია ზედ ცრემლები. სწორედ ამ დროს მას თავს წაადგა ერთი ახალგაზრდა ჭაბუკი, რომელიც პირველ ხანად მან ვერ იცნო.

— აქ რად მოსულხარ, ძმობილო? —ჰკითხა მოსულმა.

— შენ ვინა ხარ?

— ახ, ლავრენტი, ჩემო ლავრენტი!

— ნაცნობები ერთმანეთს ძმურად გადაეხვივნენ.

— მე შენი და მიყვარდა, თამამად უთხრა ასანს ლავრენტიმ. მსურს დღეს მის საფლავს გამოვეთხოვო, ხვალ შინ ვაპირებ წასვლას.

— რითი და როგორ გადაგიხადო სამაგიერო მადლობა, რომ ასე გიპატრონებია ჩემის საცოდავის დის საფლავისათვის?!. ღმერთი გადაგიხდის, ღმერთი!

— როგორა ხარ, რანაირად, როდის დაბრუნდი, დაჯექ და მიამბე...

— ეხლავე, ძმობილო, დაჯექ შენც და ყური დამიგდე. ხოჯა ალი ჩემის დედის ნათესავი იყო და აგვიტყდა გადავსახლებულვიყავით სათათრეთში. დედაჩემი ბრმად დაემორჩილა იმის რჩევას და მე-კი უფრო იქ გადასახლებულ ქართველ მაჰმადიანების ცხოვრების სიავ-კარგის შესატყობლად მოვისურვე დედას გავყოლოდი. დედაჩემი ტრაპიზონში ელენეს ჯავრით გარდაიცვალა. მე-კი ნამდვილად დავრწმუნდი სათათრეთში, რომ ხოჯები და მოლლები უნამუსოდ გვატყუებდნენ, იქ ბედნიერებას და ნეტარებას გვიქადიდნენ და ჯოჯოხეთში-კი ამოგვაყოფინეს თავი. პირველად რომ შევდგით ჩვენის სოფლიდგან გადასახლებულებმა სათათრეთში ფეხი, ყველამ ეჭვის თვალით დაგვიწყო ცქერა და ასე ამბობდა თითოეული ჩვენი მნახველი: „ეს სულელები საიდგან სად წამოსულან, თავის სამშობლო დაუტოვებიათ და აქ გამოქცეულან! ვინ ეხვეწებოდათ, აქ მობრძანდითო?! აქ მიწა-წყალი ჩვენც არ გვყოფნის, და ეგენი სად უნდა დასახლდნენო?!“ ბერძნებს იქ ვძულვართ, თათრები არ გვეკარებიან და არ გვენდობიან, სომხები სასაცილოდ გვიგდებენ... ადგილები ცოტა მოგვცეს და, რაც მოგვცევს, ისიც მწირი, უნაყოფო; ბევრი უადგილოდ დარჩა და შიმშილით სიკვდილის ასაშორებლად სხვას დაუდგა მოჯამაგირედ. ოსმალეთის სამიწა-წყალოზედ ჩვენებმა ვერ გაისაძლიერეს: ბევრი დასნეულდა და წუთი-სოფელს უდროოდ გამოესალმა. სად არის იქ ან მკურნალი, ან გულის შემატკივარი, ნამეტნავად იქ, სადაც ყველაფერი კაცისათვის უცხოა, უცნობია!! განსაკუთრებით ბევრი ბავშვი დაიხოცა... ხოჯები და მოლლები სადღაც მიიმალნენ და დაგვტოვეს ალლაჰის ანაბარად, უპატრონოდ, უწინამძღვროდ სხვა და სხვა შემთხვევის მსხვერპლად. დავწყევლეთ ის წელი, ის დღე, ის საათი, ის წუთი, როდესაც სამშობლოდგან გადასახლების აზრი დაგვებადა. ბევრი ვინაღვლეთ, ვივაგლახეთ, ვინანეთ, მაგრამ გვიანღა იყო... „თავს სინანული სჯობია ბოლო ჟამს დანანებასა“ ო—ბრძენთ უთქვამთ. მე ერთს მდიდარს ვაჭარს მსახურად დავუდექი და ერთს წელიწადს მასთან ერთად თითქმის მთელი ევროპა შემოვიარე. ქვეყნიერების ცოტა რამე მეც გავიგე...ყოველ შემთხვევაში მე ქრისტიანების მოსისხლე მტერი აღარა ვარ: მივხდი, რომ პირველობა იმათ ეკუთვნით სწავლა-მეცნიერებასა და ცხოვრებაში, ისინი თვისის გონებითა და ცხოვრებით მაღლა სდგანან დღეს ყველა სხვა სჯულის ერებზედ...ვინც მხარეს უქცევს სწავლა-განათლებას, ის ამით თვისს არსებობას უდროოდ უთხრის სამარეს. ჩემის თანამემამულეების უმეტესობას ეს ჭეშმარიტება არ ესმის... ძილში და ცხადად ჩემი სამშობლოს ნახვა მენატრებოდა, მეუცხოებოდა სათათრეთი, მისი მცხოვრებნი, იქაური ცა-ღრუბელი, მიწა-წყალი; მენატრებოდა აქ, სამშობლოში მოსვლა, აქ ტანჯვა-წვალება, აქ სიკვდილი, აქ სამარე. მენატრებოდა და ჩემის გულის წადილი შევისრულე. დავწყევლე ოსმალეთი და სამშობლოსკენ გამოვეშურე. თან ვფიქრობდი გუნებაში: მართალია სახლ-კარი და ადგილ-მამული გავყიდე, მაგრამ შრომითა და ჯაფით კიდევ

*) იხ. „ივერია“ № 233.

*** 26 ოქტომბერს ფოსტა-ტელეგრაფის ინსპექტორი ა. ნ. ეილერი პეტერბურგიდგან ტფილისში ჩამოვიდა და მეორე დღესვე ტფილისის საფოსტო-სატელეგრაფო ოლქის სამმართველო ინახულა.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ ტფილისის მოქალაქეს ნიკოლოზ ჩიგიანოვს ნება-დართო, რომ ტფილისში რუსულს ენაზედ ყოველდღიური გაზეთი „ტელეფონი“ გამოსცეს შემდეგის პროგრამით: 1) ტელეგრამები და 2) განცხადებანი. გაზეთი წლიურად გაგზავნით ორი მანეთი ეღირება.

*** რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფო საზოგადოების კავკასის განყოფილებას 1901 წ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროგრამის განსახილველად და ამ საქმის მოსაწყობად თავისს წარმომადგენლებად დაუნიშნია ნ. ა. სულთან-კრიმ-გირეი და ს. ვ. გლასევი.

*** უკანასკნელ შეერთებულ კრებას ტფილისის ქალაქის გამგეობისა და იმ კომისიისას, რომელსაც მინდობილი აქვს თვალ-ყური ადევნოს ცხენის რკინის გზას, უსახელო საზოგადოებამ წარუდგინა განსახილველად ნიმუშები იმ ტანისამოსებისა, როგორიც ჰსურს შემოიღოს საზოგადოებამ ამ გზაზედ მოსამსახურე კონდუქტორებისა და მეეტლებისათვის. რადგანაც ეს წარდგენილი ნიმუშები საზოგადოებასვე უნდა დაუბრუნდეს, კრებამ დაადგინა მოსთხოვოს მას ტანისამოსის ფორმის სურათები და იმ მატერიის ნიმუშები, რისაგანაც ტანისამოსი უნდა შეიკეროს. გამგეობა მხოლოდ ამის შემდეგ დაამტკიცებს ტანისამოსის ახალ ფორმას. შემდეგ კრებამ განიხილა კომისიის თავმჯდომარის წინადადება ცხენის რკინის გზის გამგეობისათვის სავალდებულო დადგენილებათა შედგენის შესახებ. კრებამ დაადგინა შეადგინოს ასეთი დადგენილებანი. დასასრულ განხილულ იქმნა მოხსენება ქალაქის ხუროთმოძღვრის ბ-ნ შახნაზაროვისა, რომელმაც დაათვალიერა ცხენის რკინის გზის ლიანდაგები. კრებამ დაადგინა მიიწვიოს შემდეგს კრებაზედ ბ-ნი რობი და დაავალოს იმ სამუშაოების შესრულება, რაც მოხსენებაშია აღნიშნული.

*** კავკასიაში ცხენების ჯიშის განმკარგებელ საზოგადოების მხრივ წარმომადგენლებად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის პროგრამის განსახილველად დანიშნულნი არიან: ვ. ა. ბერგი, კ. მ. ენიკოლოფოვი, თავ. პ. მ. ლორთქიფანიძე და ა. გ. მელქუმოვი.

*** ამ დღეებში ყარსის გზაზედ მომხდარ უბედურების შესახებ „ნოვ.ობ.“-ე სწერს: „რკინის გზისათვის 7 ჯარშინით შემაღლებულ მიწაზედ ორთქლ-მავალი ლიანდაგს გადასცდა, ძირს დაეშვა, თვლებით მიწაში ჩაიფლა და თითქმის მთლად დაყირავდა. ორთქლმავალს შემდეგ მიბმული საქონლის ვაგონი დაეტაკა და დაისხვრა და ზედ მიბმული ფოსტის ვაგონი საქონლისას ზედ შეადგა. ფოსტის ვაგონიც ძლიერ არის დაზიანებული. მესამე კლასის 2 ვაგონი და ერთიც მეორე კლასისა ძირს დაეცა და ძლიერ დაზიანდა.

ბრალმდებელმა და რკინის გზის წარმომადგენელთაგან შემდგარმა კომისიამ ის დასკვნა გამოიყვანა, რომ უბედურება უმთავრესად ლიანდაგის რკინის ჩატეხისა გამო მოხდა.

*** მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შესაძლებლად უცვნია, რომ ძმ. ნობელების ამხანაგობის შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნას და საბუნჩის საგარაკოში საჯარო ვაჭრობის დაუნიშვნელად მიეცეს 19 ნაჭერი სახელმწიფო მიწისა ნავთის ამოსაღებად.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ სემინარიის მიერ ვერაზედ ახლად შეძენილ მიწის მიჯნების აღსადგენად მიწის-მზომელი ლარიონოვი იქმნას გაგზავნილი.

*** ტფილისში ჩამოვიდა თერგის ოლქის უფროსი გენერალ-მაიორი ტოლსტოვი.

*** ყარსის რკინის გზაზედ მატარებელთა მიმოსვლა უკვე დაწყებულია.

*** განზრახვა აქვთ მომრიგებელ მოსამართლეთა განაჩენით დაპატიმრებულთათვის ტფილისის მაზრაში სამი საპატიმრო ააშენონ: ერთი სართიჭალის ნაწილისათვის ს. სართიჭალაში, მეორე ქ. ტფილისის მიდამოებში 25 ვერსის მანძილზედ მცხოვრებთათვის ტფილისის საპატიმროსთან და მესამეც ტფილისის საპოლიციო ნაწილის მცხოვრებთათვის ს. „პრიუტში“ (ელიზავეტინსკოე).

*** 15 სექტემბრიდგან ფშავ-გუდამაყარში გავრცელებული ხუნაგი ამ თვის დამდეგს უკვე მოსპობილა. 15 სექტემბრიდგან 1 ოქტომბრამდე სულ 125 კაცი გამხდარა ავად, რომელთაგან 20 მომკვდარა.

*** მომავალის წლის კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პროგრამის განსახილველად სხვა-და-სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელთა კრება დღეს, 31 ოქტომბერს, არის დანიშნული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში, კრება საღამოს 7 საათზედ დაიწყება.

*** პოლკოვნიკმა გ. ყორღანოვმა ტფილისის გამგეობას ქაღალდი მისცა, რომელშიაც სწერს, რომ რადგანაც ქალაქის გამგეობამ არ ისარგებლა იმ ადგილით მტკვრის პირას, ვერის ხიდთან, რომელიც მე დავუთმეო, ამისათვის ქალაქი ამ ადგილზე თავისს უფლებას ჰკარგავსო და ჩემი სურვილია გარდაეცეს იგი სახალხო თეატრის ასაგებად, მხოლოდ იმ პირობით, რომ იქ შენობის გარდა სასეირნო ბაღიც გაშენდესო.

*** „Южное Обозрѣніе“-ს სიტყვით, შავის ზღვის პირად ყვარჩელის საგარაკოში 40 ვერსის მანძილზე თურმე ქვა-ნახშირი აღმოჩენილი, ხოლო მეორე ადგილას 8 ოთხკუთხ ვერსზედ, საიდგანაც სულ ცოტა 7½ მილ. ტონს წმინდა ქვანახშირს ამოიღებენო. სულ-კი № 1-ში სამი საჟენის სიღრმეზედ თურმე სძევს ნახშირი და ერთად 2,592 მილლიონ ფუთს შეადგენს. დანარჩენ სამ ადგილასაც აუარებელი ქვა ნახშირია, მაგრამ ჯერ მისი რაოდენობა გამორკვეული არ არისო.

*** კვირას, 5 ნოემბერს, მოსკოვის კეთილშობილთა საკრებულო დარბაზში ა. ი. სუმბათაშვილი ქართულს საღამოსა და კონცერტს გაჰმართავს. ვოკალურ, დრამატიულ და მუსიკალურ ნაწილთა მოწყობა უკისრნიათ ქ-ნს მ. ნ. კლიმენტოვა-მურომცევისას, ბ-ნთ ვლ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსა და ა. კ. კორეშჩენკოს. საღამოზედ საიმპერატორო თეატრთა არტისტები მიიღებენ მონაწილეობასა და იმღერებს ხორო თ. ს. საკოვიჩის ლოტბარობით. ხორო, სხვათა შორის, კორეშჩენკოს მიერ გადაღებულს ქართულ სიმღერებს იმღერებს. დარბაზი აღმოსავლეთის გემოზედ იქმნება მოწყობილი კიოსკებით, სუნნელოვან წყლებით (духи) შადრევანებითა და სხვ. („Рус. Вѣд.“).

*** მომავალს წელს მაისში პეტერბურგიდგან არქეოლოგთა ექსპედიცია წამოვა, რომელსაც აზრად აქვს ეჩმიაწინისა და ახალი სომხეთის საარქეოლოგო ნაშთნი დაწვრილებით გამოიკვლიონო, სწერს გაზ. „Русск. Вѣд.“-ი.

*** რედაქციამ მიიღო ჟურნალ „მოამბის“ მე-IX ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, „გიული“.— მოთხრობა შ. არაგვისპირელისა, 2) „ვერტერი“.— თხზ. გიოტესი.— თარგმ. გერმანულიდგან. 3) ორ ზღვას შუა, ლექსი განდეგილისა, 4) ნუ მასმევ ნექტარს.— ლექსი მისივე), 5) ასული ისრაელისა — ხუთ-მოქმედებიანი ტრაგედია. – ან. ფურცელაძისა (დასასრული), 6) დამაზ ქალს.— ლექსი გ ა – სა, 7) ლექსი — მისივე, 8) სამეგრელოს აღწერა — არქანჯელო ლამბერტის.— თარგმანი იტალიანურით (გაგრძელება), 9) სვიმონ იმერთა მეფის და მთავრის მამია გურიელის სიგელი, 10) პარიზის მსოფლიო გამოფენა და ჩვენი ქვეყანა.— ს—ს, 11) ინგლისის კონსტიტუცია მე XIX საუკუნეში, 12) შინაური მიმოხილვა.— ლალისა.

*** გუშინ, 30 ოქტომბერს, ქალაქის მკურნალმა გონიევმა ქალაქის გამგეობას განცხადება გადასცა, რომელშიაც სთხოვს თანამდებობიდგან განთავისუფლებას.

*** სოფელ. ქორეთი (შორაპნის მაზრა). აგერ ოქტომბერი გაილია და სიმინდები ისევ ყანებშია. ეს იშვიათი მოვლენაა, რომ ამ დრომდის ყანებში სიმინდი შემოუტანელი დარჩენილიყოს, ნამეტნავ-კი ამ სოფელში. თოვლმაც ორჯელ გადაავლო თვალი ნაწვავ-ნადაგ ნამუშევარს, თუმცა დიდის ხნით არ გაჩერებულა, თითქოს თვითონვე შერცხვაო ნამუშევრის წახდენა და ისევ მიბრძანდა. აცივებით კი კაი ხანია აცივდა, მაგრამ ჯერ კიდევ ზამთარს არ ველით, რადგანაც სიმინდებს ყანებში უყურებთ მოუტანელს. ჩვენსკენ ქურდობაც ერთობ გახშირებულია, ნამეტნავად ცხენებისა.

## დაბა ჭიათურა

(მოწერილი ამბავი)

**დ. ჭიათურა.** 25 ოქტომბერს, დილის 11 საათზედ, სახალხო მატარებლის ჭიათურაში მობრძანდა ყოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი ლეონიდი, რომელსაც თან ახლდა ეპარქიის სკოლების უფროსი მ. მელიტონ კელენჯერიძე.

მართალია, იმ დღეს მეტის-მეტი ცუდი ამინდი იყო, მაგრამ მაინც მრავალი ხალხი მიეგება ახალს მღვდელთ-მთავარს. ჭიათურის რკინის გზის სადგურზედ, სხვათა შორის, ეპისკოპოსს შეეგებნენ: ადგილობრივი სამღვდელოება, სადგურის უფროსი, თავადი გ. ბეგთაბეგოვი, ჭიათურის ბოქაული თავადი ზ. ყიფიანი, ჭიათურის სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე სკოლის მოწაფეებით და სხ. ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი სადგურიდგან პირდაპირ ადგილობრივს სამრევლო სკოლაში გაემგზავრა, სადაც ჩვეულებრივის გალობის შემდეგ მღვდელთ-მთავარი გაკვეთილებს დაესწრო; გამოსცადა მოსწავლეები საღმრთო სჯულში, ქართულსა და რუსულს ენაში და მოწაფეების ნაწერები ინახულა. ყოვლად-სამღვდელო თითქმის ორ საათნახევარს დარჩა სკოლაში, სადაც მისი მეუფება ძალიან კმაყოფილი დარჩა სკოლის წარმატებით. მასწავლებელმა ვაშაძემ ყოვლად-სამღვდელოს ვრცელი მოხსენება მიართვა სკოლის შესახებ. შემდეგ ეპისკოპოსმა ლოცვა-კურთხევა უსურვა მასწავლებელსა და მოსწავლეებს და ნაშუადღევის ორ საათზედ მღვიმის დედათა მონასტერში წაბრძანდა. მეორე დღეს ყოვლად-სამღვდელო მონასტრის ეკკლესიაში ბრძანდებოდა მწირველი. წირვის შემდეგ მღვდელთ მთავარმა გრძნობიერი ქადაგება წარმოსთქვა; შემდეგ დაწვრილებით დაათვალიერა მონასტრის მამულები, რომლებიც დღემდის ზოგიერთების დაუდევრობითა და წყალობით შავი-ქვის მაწარმოებლების ხელშია. მონასტრიდგან ყოვლად-სამღვდელო ლეონიდი საჩხერეში წაბრძანდა სკოლების დასათვალიერებლად და იქიდგან ქუთაისში დაბრუნდება.

შავი ქვის მაწარმოებელი

---

შევიძენ ყველაფერს-მეთქი! რომ მოუახლოვდი ზღვით აჭარის მთებს, სულმა იგრძნო სიხარული. სამშობლო მთების საამურმა, ნაცნობმა სიომ შუბლი გამიგრილა და უცხოეთში ტყვეობით დაჩაგრულის გულის წყლულს მკურნალ მალამოდ დაედო. დამავიწყდა მაშინ მთელი ჩემი წარსული ტანჯვები და სასიამოვნო აწმყოთი ვტკბებოდი. თან მიხაროდა, რომ ჩემის ძვირფასის დის საფლავს ვნახავდი, მდუღარე ცრემლით მოვრწყავდი, მიხაროდა, რომ ჩემს ძვირფასს სამშობლოში კიდევ ვიცხოვრებდი, მის ცის ქვეშ მოვკვდებოდი და მშობლიურს მიწაში დავიმარხებოდი. რომ გამოვედი ბათუმში, — იქნება არ დაიჯერო, — მოწიწებით დავიჩოქე და ათჯერ ვემთხვიე სამშობლო მიწასა. აწ, ღვთით, აქა ვარ. ბედნიერად ვგრძნობ ჩემს თავს ჩემს სამშობლოში, რომლის უტკბესი და უსაყვარლესი დედა-მიწაზედ, ვფიქრობ, არა არის-რა. აწ გთხოვ, ლავრენტი, მეგობრობის ფიცი დავდოთ და ერთმანერთს არ ვუღალატოთ.

— ძალიან კეთილი, ჩემო ასანო, მეგობრად გეგულებოდე. ხვალ ჩემს სოფელში წავიდეთ... შემდეგშიაც ნუ მოვაკლებთ ელენეს საფლავს მზრუნველობასა. ვიდრე ცოცხალი ვიქნები, იმის სახელი არ დამავიწყდება და არც ცოლს შევირთავ.

— ჩემის დის სახელი, — სთქვა ასანმა, დიდს ხანს იცოცხლებს საქართველოში. ის არის მსხვერპლი ქართველ მაჰმადიანების შეცდომისა, მათის ცრუ ოცნებითა და ცრუ იმედებით გატაცებისა. ბევრი ქართველი წრფელის სიბრალულის გრძნობით მოიგონებს უდროოდ დაღუპულს მშვენიერს ელენეს და მასთან ერთად იმ თავისს ღვიძლ ძმებს, ქართველ მაჰმადიანებს, რომელთაც თავისი სამშობლო დასტოვეს, ოსმალეთში გადასახლდნენ და იქ, სიხარულის ნაცვლად, ტანჯვა-გლოვა ჰნახეს იმ თავისის ღვიძლის ძმებისა, რომელნიც უცხოეთში გადაგვარდებიან, გადაშენდებიან და სამუდამოდ დაეკარგებიან თავისს სამშობლოსა და მოძმეებს. მე მაძევს მოვალეობა ჩემს ძმებს, ქართველ მაჰმადიანებს, რომელნიც სამშობლოში დარჩნენ საცხოვრებლად, ავუხილო თვალები და მუდამ ვუქადაგო, არ დასტოვონ არაფრის გულისათვის თავისი ძვირფასი სამშობლო, თუ ჰსურთ, რომ მათი სახსენებელი სამუდამოდ არ გაქრეს დედამიწის ზურგზედ.

X

მეორე დღეს ლავრენტი და ასანი გურიაში გაემგზავრნენ. დღეს ასანი გვარიან შეძლებულ კაცად ითვლება. ის სცხოვრობს თავისსავე სამშობლო სოფელში, თავისსავე მამა პაპის სახლში. შრომამა და გონიერებამ ასანს შეძლება მისცა და კეთილდღეობა არგუნა. დღესაც უყვარს ჩანგურის დაკვრა; ხშირი სტუმარია ყოველ გვარი შეკრებილებისა; ყველა ქართველი მაჰმადიანი მას პატივისცემით ეპყრობა. ქართველ ქრისტიანებში გურიაში, სამეგრელო-იმერეთში და ქართლ კახეთშიაც მას ბევრი ნაცნობები ჰყავს, რომელნიც დიდს პატივსა სცემენ. ის დღეს ქართველობის ბურჯია ქართველ მაჰმადიანებში. ასანი ხშირად დაჰმღერის ჩანგურის სიმებს შემდეგს ლექსსა, რომლის შინაარსსა და ხელოვნურად დამღერებას აღტაცებაში მოჰყავს მსმენელები.

აი ეს ლექსიც, რომელიც ჩავწერეთ ჩვენ თვით ასანის კარნანახობით:

„შავმა დრომა დაგვაშორა
ქართველებსა მათი ძმები:
მესხები სიბრძნით ქებული,
ქობულელნი, აჭარლები.

—

რაც დაგშორდით, მასუკანა
თქვენკენ რბოდა ჩვენი გული,
თქვენთან შემოერთებასა
ვინატრიდით დაჩაგრული.
ბოლოს ბედმა გაგვიღიმა,
შეგვისრულდა მისწრაფება,
და გვეღირსა ღვთის წყალობით
ჩვენ თქვენთანა შეერთება.

—

მუდამ ოხრავს, ვინც წავიდა
ჩვენთაგანი უცხოეთში,
თვის სამშობლო მიატოვა,
გადასახლდა ოსმალეთში:
იქ ვერ ნახა ამისთანა
დალოცვილი ტურფა მხარე
და სამშობლოს დამკარგავსა
თვალთაგან სდის ცრემლი მწარე.

—

სიკვდილის წამს გარდახვეწილთ
თვის სამშობლო აგონდებათ,
თვალ წინ უდგათ მის მთა-ბარი,
იქ სიკვდილი ენატრება;
სწყევლიან თვის გაჩენის დღეს...
გვიანღაა სინანული!..
ყოველთვის ვერ გამობრუნდეს
საქმე ერთხელ წაგებული.

—

არ დავკარგავთ ჩვენს სამშობლოს,
მამა-პაპის სისხლით მორწყულს.
აქ ჩვენ პირი გვირჩევნია
უცხოთა შორის სიხარულს.
აქ არიან დამარხული
ჩვენის წინაპრების ძვლები,
და სამშობლოს დამტოვებელს
სწყევლის მათი საფლავები.

ძ რელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თეატრის მატიანე

**ქ. ქუთაისი.** 26 ღვინობისთვეს ქუთაისის დრამატიულმა დასმა 5 მოქმედებიანი დრამა გუცკოვისა „ურიელ აკოსტა“ წარმოადგინა.

მოთამაშეებს როლები კარგადა ჰქონდათ შესწავლილი, მაგრამ მოხმარებით-კი ეს ცოდნა ბევრმა ვერ მოიხმარა. ცოდნა მაშინ არის კარგი, როდესაც იგი თავისს დროზედ გამოადგება კაცს; უამისოდ იგი არ ცოდნას უდრის. ზოგიერთებმა არ იცოდნენ, როდის იწყებოდა ან თავდებოდა მისი სიტყვები. ეს გარემოება-კი დიდად დამაბრკოლებელია პიესის გარმონიის დასაცველად.

კერძოდ როლები ასე ჩაატარეს მსახიობთ: ბ-ნ ბალანჩივაძემ (მანასე და ბენ-აკიბა) რამდენადაც სუსტად დაგვიხატა ტანჯული მამის მდგომარეობა, იმისი სულის ტანჯვა ქალის უბედურებისა გამო, იმდენად ძლიერი და საინტერესო იყო ბენ-აკიბას როლში, სადაც ღრმად მოხუცებულება და ფანატიკოსობით გამსჭვალული აზრები მისი ნათლად დაგვიხატა. დე სილვას როლს თამაშობდა ბ-ნი ჭელიძე. ეს მსახიობი ამ როლში სრულს კონტრასტს წარმოადგენდა: რამდენადაც საინტერესო იყო როლის ცოდნითა და მშვენიერის ლაპარაკით, იმდენად უინტერესო იყო მიხვრა-მოხვრით და ჟესტიკულიაციით. ჩემის აზრით, სცენაზედ თავის დაჭერა და წესიერი ჟესტიკულიაცია იგივეა, რაც მომღერლისათვის კარგი აკომპანიმენტი. რამდენადაც კარგი სიმღერა, შეზავებული აკომპონიმენტი ტკბილ სასიამოვნოა, იმდენად მსახიობის თამაში წესიერი ჟესტიკულიაციით სასიამოვნო სამზერია; ამიტომ, ყველას, ვინც სცენაზედ გამოდის, კარგად უნდა ჰქონდეს მოფიქრებული და აწონილი თავისი როლი და იმისი რიგიანი შესრულება.

ბენ-იოხაის როლს ბ-ნი ჩარკვიანი ასრულებდა. ზოგი ადგილი მართლა საუცხოვოდ ჩაატარა, მაგრამ ერთს ადგილას, სადაც მთელი ძალა უნდა გამოეჩინა ტრაგიზმის დასახატად, ხმა ჩაუწყდა. ეს იმასა ნიშნავს, რომ იგი ხმას დაზოგვით არ ხმარობს. ბ-ნს მესხიშვილს უფრო სუსტი ხმა აქვს, უფრო ბევრი სალაპარაკოც, მაგრამ მას ეს არასოდეს არ ემართება. თამაშობის დროს ბ-ნი ჩარკვიანი ხშირად წელში მოხრილია, რაიცა მეტად აუშნოებს.

ქ-ნმა ოქროპირიძემ (ესთერ) სუსტად დაგვიხატა ის ადგილი, სადაც შვილი მიჰვარდება და მის წინ დაეცემა. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ეს ადგილი ძალიან ძნელიც არის იმისთანა ახალგაზდა და გამოუცდელ ქალისათვის, როგორიც ოქროპირიძეა. ამიტომ ეს დიდ ცოდვად არ ჩაეთვლება; შემდეგში-კი მოვთხოვთ, რომ ამისთანა ადგილებს ღრმად ჩაუკვირდეს.. კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი სიმონიძე (დე სანტოს როლში).

ბ-ნი მესხიშვილი (აკოსტა) ჩვეულებრივად საუცხოვო იყო, განსაკუთრებით-კი თორაში. აქ იმდენად ძლიერი იყო იგი, რომ იმისმა სინამდვილით თამაშობამ და ნიჭმა თვით მუდამ მოქათქათე ბატონებსაც კი ხმა გააკმენდინა, რადგანაც ნამდვილი ჭეშმარიტი ნიჭისა და ხელოვნებისა მათს გულსაც მოხვდა და, ხომ მოგეხსენებათ, ნამდვილი ხელოვნება და მშვენიერება ნადირსაც ალმობიერებს.

ქ-მა ჩხეიძისამ (ივდით) თავისი როლი ჩინებულად ჩაატარა. ამ როლში ქალაქში სხვანიც გვინახამს, მაგრამ, შედარებით, ქ-ნი ჩხეიძისა უფრო ძლიერია. დანარჩენი მსახიობნიც იმათ-და საქებრად ხელს უწყობდნენ. წარმოდგენამ საზოგადოდ მწყობრად ჩაიარა და იქ მყოფი ხალხი (ოციოდე კაცი) ნასიამოვნები დარჩა..

როდესაც კაცი თეატრზედ ლაპარაკობს, უნდა ყოველის მხრით განსაჯოს იგი. თეატრს ორი რამ შეადგენს: სცენა და მაყურებელი საზოგადოება. რეცენზენტები მარტო სცენას ეტანებიან და მაყურებელს საზოგადოებას-კი უყურადღებოდ სტოვებენ, რომელიც თეატრის ნაწილს შეადგენს. ამისათვის მსურს ამ მხარესაც შევეხო, მაგრამ რადგანაც ამ წერილში სიტყვა გაგვიგრძელდა, შემდეგისათვის გადავდებთ.

გ. საყვარელიძე

## რუსეთი

როგორც „С-Петерб. Вѣд.“-ი იუწყება, მთავრობას ნება დაურთავს, რომ პეტერბურგში მაჭმადიან მცხოვრებთათვის მეჩეთი იქნას აშენებული. მეჩეთის ასაშენებლად საჭირო თანხა უკვე შეკრებილია და კომისსია ამ ჟამად მხოლოდ შესაფერს ადგილს ეძებსო.

— „მთავრობის კანონდებათა და განკარგულებათა კრებულში“ გამოქვეყნებულია: „დედათა ინსტიტუტებსა და იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა დედათა გიმნაზიებში სხვა და-სხვა საგნებისა და ენების მასწავლებლობის მიღება შეუძლიანთ იმათ, ვისაც სრული უმაღლესი სწავლა მიუღია და რომელთა მოწმობაშიც აღნიშნულია, რომ ადგილის მთხოვნელს მართლა ის საგნები შეუსწავლია, რომლის მასწავლებლობასაც თხოულობს, ან და იმათ, ვისაც გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის მასწავლებლობის წოდება მიუღია. ესევე უფლება აქვთ სამხედრო სასწავლებლებისა და კადეტთა კორპუსის მასწავლებლებსაც. გიმნაზიებისა და ინსტიტუტების ოთხს დაბალს კლასში მასწავლებლობის უფლება ეძლევათ ქალებს, რომლებსაც რუსეთის ან და უცხოეთის საშუალო სასწავლებლები დაუმთავრებიათ და შინაურ მასწავლებელ-ქალის ანუ აღმზრდელის წოდება მიუღიათ. კლასიდგან კლასში გადასვლის დროს გამოცდა სავალდებულოა მხოლოდ ორს უკანასკნელს კლასში და გათავების დროს, ხოლო დანარჩენს კლასებში მოწაფენი შეიძლება გამოუცდელადაც იქმნენ კლასიდგან კლასში გადაყვანილნი, თუ რომ წლის განმავლობაში კარგად უსწავლიათ და საზოგადო ნიშნებით შემდეგს კლასში გადასვლის ნება ეძლევათ“.

— რადგანაც ქვის-ნახშირის ფასმა ისევ აიწია, სამხრეთ რუსეთის ზოგიერთს ქალაქს კვლავ შუამდგომლობა აღუძრავს, რომ საზღვარ-გარეთიდგან შემოტანილს ქვა-ნახშირზედ საბაჟო გარდასახადი დროებით გაუქმებულ იქმნეს.

— ბუნების მეტყველთა და მკურნალთა მე-11 კრების მოწვევას პეტერბურგში აპირებენ 1901 წ. 28 დეკემბრისათვის. კრება 1902 წლის 7 იანვრამდე გასტანს. გამგე კომიტეტის თავმჯდომარეთ პროფესსორი მენშუტკინია დანიშნული, მის ამხანაგათ პროფესსორი ინოსტრანცევი.

— როგორც „Россія“ იუწყება, გრაფის შერემეტევის თავმჯდომარეობით საგანგებო საზოგადოება თურმე დაარსებულა, რომელსაც აზრადა აქვს ინტელიგენტ რუსებს შორის ეროვნულ ტანისამოსის ხმარება გაავრცელოს.

— სასულიერო უწყებისათვის განმარტებულ იქმნა, რომ მწვალებლობაში შექნილი ბავშვები აღსარების სიაში შემოერთებულთა ოჯახს მიაწერონ ხოლმე. ამ შემთხვევაში საჭირო არ არის აღნიშნულ იქმნეს ბავშვი კანონიერად თუ უკანონოდ დაბადებულია, რადგანაც, კანონის ძალით, ამისი დამტკიცების უფლება მხოლოდ თითონ მშობლებს ეძლევა სხვა საეკკლესიო საბუთის ქადაგებში-კი მართლ მადიდებლობისადმი შემოერთებული ბავშვები ასე უნდა იქმნენ აღნიშნულნი: „მწვალებლობის ამა და ამ სექტიდგან შემოერთებული შვილი იმავე მწვალებლობიდგან შემოერთებულისა და მისის მეუღლისა, რომელიც მწვალებლობის დროს მიეცათ“ და სხ.

— ფინანსთა მინისტრის განკარგულებით, 1-ლ ნოემბრიდგან ყველა იმ გუბერნიებში, სადაც სახაზინო ღვინით ვაჭრობაა შემოღებული, ღვინოს ანუ არაყს ფასი მოემატება: არაყი, რომელიც დღემდის ვედრო 7 მან. იყიდებოდა, ე. ი. გრადუსი 17½ კაპ. ფასობს, ამას იქით 7 მან. და 60 კაპ. გაიყიდება, ე. ი. 40° არაყი გრადუსი 19 კაპ. ეღირება, 1½ კაპ. მეტი, ვიდრე დღემდის იყიდებოდა.

— ა. ა. ფილიპოვისათვის ნება-რთვა მიუციათ, რომ პეტერბურგში სპეციალური დასურათებული ჟურნალი „Наборщикъ“ (ასოთ-ამწყობი) გამოსცეს. ჟურნალს აზრადა აქვს ბეჭდვისა და ქაღალდის შესახებ სხვა-და-სხვა საჭიროებანი გამოარკვიოს, ხელის-მომწერთ ხაზვის ხელოვნებიდგან სხვა-და-სხვა გვარი და წვრილებითი ცოდნა შესძინოს, გააცნოს აგრეთვე ამ ბოლოს დროს ბეჭდვის საქმეში რა განკარგებანი და ცვლილება მოხდა სხვა-და-სხვა ახალ აღმოჩენათა გამო და გამოიკვლიოს, თუ ასოთ-ამწყობებსა და მბეჭდავებს რა და რა პირობები უფრო მეტად ჰვნებს.

— როგორც „Харьковск. Справочн. Лист.“-ი იუწყება, ბუმბულით მოვაჭრენი შემდეგს სიყალბეს თურმე სჩადიან: იღებენ ბუმბულს და კირიანს წყალში ჰყრიან. გაშრობის შემდეგ ასეთი ბუმბული გატილებით მეტს თურმე იწონის. სავაჭრო და სამანუფაქტურო დეპარტამენტში ამის შესახებ უკვე მრავალი საჩივარია წარდგენილი.

— გზათა სამინისტროს კარდაუწყვეტია რუსეთის რკინის გზებზედ ორთქლ-მავლების გასახურებლად ნავთი იხმარონ.

— სახალხო განათლების სამინისტროს განმარტებით, სასწავლებლებში ხელ-საქმის მასწავლებლებად უთუოდ სპეციალურად განათლებული უნდა იყვნენ და არა უბრალო ხელოსნები.

— ი. ი. ლურიესთვის მთავრობას ნება დაურთავს, რომ პეტერბურგში ყოველთვიური ჟურნალი „Мастеръ“ („ხელოსანი“) გამოსცეს.

## უცხოეთი

**ჩინეთი.** ფრანგულ ჟურნალ „Revue des Deux Mondes“-ში დაბეჭდილია ცნობილ ეკონომისტის პიერ ლერუა-ბოლიეს წერილი ჩინეთის შესახებ. ლერუა-ბოლიე ჯერ ჩინეთში მომხდარ ამბებს ეხება და ამბობს, რომ ტყუილად სდებენ ყველაფრის ბრალს მისიონერებს და ამტკიცებენ, ჩ ნდები მხოლოდ მათ გამოიყვანეს მოთმინებიდგანაო. „მას შემდეგ, — სწერს ლერუა-ბოლიე, — რაც ყველანი ჩინეთისაკენ გაქანდნენ, მას შემდეგ, რაც ევროპის ერებმა მოისურვეს პოლიტიკურ მოქმედების დაწყება ჩინეთის ამა თუ იმ კუთხეში, ამ სახელმწიფოში მისიონერებს გარდა სხვებიც გაჩნდნენ, სახელდობრ: ინჟენერები, ხელოსნები, მექანიკოსები და ჯარის-კაცებიც კი ევროპიელთა დასაცველად. გავიდა რამდენიმე ხუთი წელიწადი, რაც ამ ახლად მოსულმა ევროპიელებმა მცხოვრებლებთან საქმე დაიჭირეს, და მათდამი სიძულილმა იმ ზომამდე მიაღწია, რა ზომამდისაც მისიონერთა ქადაგებას არასოდეს არ მიუღწევია. რაც შეცდომებიც უნდა ჩაედინათ მისსიონერებს, უთველს ეჭვს გარეშეა, რომ ახლად მოსულთა შეცდომანი უფრო დიდ-მნიშვნელოვანი იყო და არის. ამიტომ მისიონერებს უსაბუთოდ ახვევენ ყველაფერს კისერზედ“. ლერუა-ბოლიეს აზრით, ევროპიელებმა ძალიან ადრე და სწრაფად მიჰყვეს ხელი რკინის გზების გაყვანას, მადნების თხრას, ამასთან არავითარი ყურადღება არ მიაქციეს არც ხალხის ზნე-ჩვეულებას და არც იმათ კანონიერ უფლებებს. ამის გამო ხალხში უკმაყოფილება გაჩნდა, ამ უკმაყოფილებით ისარგებლეს მმართველმა კლასმა, საიდუმლო საზოგადოებებმა და დასასრულ დინასტიამ და ტახტის მახლობელთ, რომელთაც გული დასწყვათ უცხო-ქვეყნელთა ბატონობამ. არკვევს რა ჩინეთში მომხდარ არეულობათა გამომწვევ მიზეზებს, ლერუა-ბოლიე შემდეგ კითხულობს, რა უნდა ჰქნას ევროპამ და როგორ უნდა მოაწყოს ჩინეთის საქმეო? „შესაძლებელია, ევროპა ორ უკიდურესს შეცდომაში ჩავარდეს, — სწერს ლერუა-ბოლიე: — ან მეტად სასტიკად ან კიდევ მეტად რბილად მოექცეს ჩინეთს. პირველ შემთხვევაში, თუ ევროპამ მიწები მოითხოვა და საფუძვლიანის რეფორმების შემოღება მოისურვა, შეიძლება მთელი ჩინეთი ამბოხებამ და არეულობამ მოიცვას და მაშინ საქმე უფრო გართულდება. მეორე შემთხვევაში, თუ ევროპამ ზომაზედ მეტი გულჩვილობა გამოიჩინა, საქმის განკარგებას შემდეგისათვის არაფერი ეშველება. ჩინელები იფიქრებენ, ევროპა დავაშინეთო, და უწინდებურ მოექცევიან უცხო ქვეყნელთ“. ავტორის აზრით, ევროპამ ჩინეთში არც მიწა-ადგილი უნდა დაიჭიროს, არც დიდი რეფორმები მოახდინოს და არც დინასტია გადააყენოს. საჭიროა ჩინელების დაშინება ისე ძლიერ, რომ შემდეგ იმ გვარი რამ, როგორიც ეხლა მოხდა, ველარ გაბედონ. საკმაოა ამისათვის პეკინის გადავნისა და ზოგიერთ სასახლეების დაქცევა, დამნაშავეთა დასჯა, ჯილდოს გამორთმევა, ტაკუს სიმაგრეების დანგრევა და სამუდამო სადარაჯო ჯარის დაწესება პეკინში. ლერუა-ბოლიე წინააღმდეგია ჩინეთის დანაწილებისა და სახელმწიფოთა შორის დაყოფისა. იმის აზრით, დანაწილებას ისეთი არეულობანი მოჰყვება, რომ ევროპა ვერასოდეს ვეღარ მოახერხებს მშვიდობიანობის დამყარებას ჩინეთში.

**საფრანგეთი.** მთელს საფრანგეთში უმთავრეს სალაპარაკოს დღეს ამას წინად მინისტრ-პრეზიდენტის ვალდეკ-რუსსოს მიერ წარმოთქმული სიტყვა შეადგენს. გაზეთებში ბევრს სწერდნენ და საზოგადოებაში ბევრს ლაპარაკობდნენ ამ სიტყვის შესახებ ჯერ ისევ მანამდე, ვიდრე ავტორი თვით სიტყვას წარმოსთქვამდა. აიხსნება ეს იმით, რომ ვალდეკ-რუსსოს ამ სიტყვაში სამინისტროს მომავალ მოქმედების პროგრამმა უნდა დაეხატნა, ხოლო რადგანაც დღევანდელ სამინისტროს მომხრეთა უმრავლესობას პარლამენტში სხვა და-სხვა დასის წარმომადგენელნი შეადგენენ, ასეთი პროგრამმა, რასაკვირველია, ყველასთვის საინტერესოა. საქმე ისაა, რომ ვალდეკ-რუსსოს სამინისტროს მოქმედებას ახალი ხანა უდგება. როგორც ვიცით, სამინისტროს შედგენის დროს ერთი აზრი ჰქონდა, დაიცვას რესპუბლიკა და რესპუბლიკანური წეს-წყობილებანი იმ განსაცდელისაგან, რომელიც მას გაძლიერებულ ნაციონალისტთა და მონარქისტთაგან მოელოდა. ამ აზრით დაუახლოვდნენ ერთმანეთს ზომიერი რესპუბლიკანელები, რადიკალები და სოციალისტები და ამ სხვა შემთხვევაში შეურიგებელმა დასებმა ერთი შეერთებული კაბინეტი შეადგინეს, რომელშიაც წარმომადგენელი ყველასა ჰყავს. შეერთებულმა სამინისტრომ უნაკლულოდ შეასრულა უმთავრესი საქმე, რაც მასა ჰქონდა მინდობილი: რესპუბლიკა განსაცდელს გადაარჩინა და იმის მტერთა თავ-გასულობას ლაგამი ამოსდო, ფრთა შეაკვეცა. რაკი ამ საქმეს მორჩა, ეხლა სამინისტრომ საადმინისტრაციო და საკანონ-მდებლო საქმეებს უნდა მიჰყოს ხელი, ე. ი. ისეთ საქმეებს, რომელიც ზომიერთა, რადიკალთა და სოციალისტთათვის საერთოს აღარ წარმოადგენს და რომელსაც ეს დასები სხვა-და სხვა თვალთა ხედვის ისრით უყურებენ. აი სწორედ ამიტომ მოელოდნენ მოუთმენლად ყველანი ვალდეკ-რუსოს სიტყვას, ყველა დასს უნდოდა გაეგო, იტყვის თუ არა ვალდეკ-რუსო იმას, რაც ჩვენს გვსურს და მოიწადინებს თუ არა სამინისტრო იმის განხორციელებასო, რაც ჩვენ პროგრამმაშია აღნიშნულიო. სამივე დასი სხვა-და სხვა თვალით უყურებს სამინისტროს და სხვასა და სხვასა თხოულობენ იმისაგან. ზომიერებს ეხლა, როდესაც განსაცდელი თავიდგან აცდენილ იქმნა, აღარაფრად ეჭაშნიკებათ სოციალისტთა კავშირი და პირდაპირ თხოულობენ სამინისტროდგან სოციალისტთა დეპუტატის მილიერანის განდევნას. ამას წინად ზომიერთა წარმომადგენელმა, დეპუტატმა ბარტუმ, სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, სამინისტროს მხარს მხოლოდ იმ შემთხვევაში დაუჭერთ, თუ მილიერანს განდევნის და სოციალისტებთან კავშირს თავს მიანებებსო. რადიკალები, თავისის მხრით შეაქებენ რა სამინისტროს წინანდელ პოლიტიკას, თხოულობენ სხვა-და სხვა რეფორმათა განხორციელებას: შემოსავლის კვლობაზედ გაწერილ გადასახადის შემოღებას, კანონს ასოციაციათა შესახებ, საპენსიო კასსას და სხვას. მილიერანის მინისტრად ყოფნა არც იმათ ეჭაშნიკებათ, მაგრამ, იციან რა, რომ მუშათა დასის მხარ-დაუჭერად სამინისტრო ვერ გასძლებს, ურიგდებიან ამას: დასასრულ სოციალისტებიც თხოულობენ სამინისტროსაგან სხვა და-სხვა სოციალურ რეფორმების შემოღებას. უპირველესს ყოვლისა კი ჰსურთ, ვალდეკ-რუსსომ საჯაროდ განაცხადოს, რომ მილიერანს სარგებლობა მოაქვს, რომ იმის სამინისტროში ყოფნა საჭიროაო. მეტად მოხერხებულად მოიქცა ვალდეკ-რუსსო. როგორც ჩვენში ამბობენ, პირველმა

მინისტრმა არც მწვადი დასწვა და არც შამფური. იგი ისეთ არაფერს შეეხო, რასაც დასები სხვა-და-სხვა ნაირის თვალით უყურებენ, პირ-იქით ისეთ საგნებზედ დაიწყო ლაპარაკი, რაც ყველასთვის ერთნაირადაა სასურველი. რასაკვირველია ბევრი ძალიან უკმაყოფილო დარჩა მინისტრის სიტყვით.

## სასამართლოს მატიანე

თავ. შიხი ტუსიშვილისა, გიორგი ოსიტაშვილისა, ვლადიმერ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ტერ-შმოვანოვის საქმე.

ორშაბათს, 30 ოქტომბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტი ბ ნ ფატეევის თავმჯდომარეობით შეუდგა თავ. ტუსიშვილისა, ბარათაშვილისა, აზნ. ოსიტაშვილისა და ტერ-შმოვანოვის საქმის განხილვას, რომელთაც ჰბრალდებათ ტფილისში, ვერაზედ, ჯვარს ახლო, 1898 წლის 3 ოქტომბერს დავით გაბაშვილის მოკვლა. თავ. ბარათაშვილს იცავს პეტერბურგიდგან მოწვეული ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ ნი გოლშტეინი, თავ. ტუსიშვილს ნაფ. ვექ. ჩემესოვი, აზ. ოსიტაშვილს—ბ-ნი ოპოჩინინი, ხოლო ტერ-შმოვანოვს—გრუზენბერგი. სასამართლოში გამოწვეული იყო ამ საქმისათვის სულ 17 მოწმე, რომელთაგან არ გამოცხადდენ არქიეპ პამპალოვი, ნადეჟდა ლორენცოვისა, კნ. ანასტასია ჩოლოყაშვილისა და ბოქაული წულუკიძე. ამის და მიუხედავად სამოსამართლო პალატამ შესაძლებლად დაინახა საქმის განხილვა. როგორც ვუწყით, უმართებულესმა სენატმა ორჯელ გააუქმა ტფილისის სამოსამართლო პალატის გარდაწყვეტილება ამ საქმის შესახებ, რადგანაც არც ერთს გარდაწყვეტილებაში არ იყო გამორკვეული ბრალდებულის დანაშაულობა.

(შემდეგი იქნება)

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ბუდაპეშტის უნივერსიტეტში (უნგრეთში) ბევრი ქალია თავისუფალ ყურის მგდებლად, მაგრამ ამისდა მიუხედავად მათი მდგომარეობა ვერაფერი სანუგეშოა, რადგანაც სტუდენტები დღემდე მტრულის თვალით უყურებენ და მტრულად ექცევიან. ხშირად სტუდენტები სასაცილოდ იგდებენ ქალებს და ზოგჯერ შეურაცხყოფასაც აყენებენ თურმე. თვით ქალებს რომ ვეღარაფერი გაუწყვიათ, დედებს განუზრახავთ წინააღმდეგობა გაუწიონ თავხედ და უზრდელ სტუდენტებს. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რამდენიმე ქალის დედა ჩაწერილა უნივერსიტეტში თავისუფალ ყურის-მგდებლად მხოლოდ იმ აზრით, რომ თავიანთ ქალებს გაჰყვნენ ხოლმე უნივერსიტეტში და სტუდენტების თავ-გასულობისაგან დაიცვან.

* * *

ინგლისელი მოგზაური ევარტ გროგანი მეტად საყურადღებო ცნობებს მოგვითხრობს, თუ, რასაკვირველია, არ აზვიადებს და ნამდვილ ამბავს გადმოგვცემს. ეს მოგზაური საშუალო აფრიკაში ყოფილა, ალბერტის ტბის მახლობლად, სადაც მას მაიმუნის მაგვარი ადამიანები უნახავს. როგორც ვუწყით, დარვინი ამტკიცებს, რომ დღევანდელი ადამიანი ისეთ არსებისაგან გაჩნდა, რომელიც მაიმუნზედ უფრო განვითარებული იყო და რომელიც დღეს დედამიწაზედ აღარ არსებობსო. ეხლა გროგანი ამბობს, რომ იმ ტომს, რომელიც მე აფრიკაში ვნახე, სწორედ შუა ადგილი უჭირავს ადამიანსა და მაიმუნს შორისაო. აფრიკაში გროგანი სამეცნიერო აზრით მოგზაურობდა. „ერთხელ, მოგზაურობის დროს,—მოგვითხრობს თვით გროგანი,—შევნიშნე ადამიანის მაგვარი არსებანი, რომელნიც ბანანის ხეებს ამოჰფარებოდნენ და შიშით გვიყურებდნენ. ახლო ვერც ერთს ვერ მივეკარეთ. ბოლოს ბევრის მეცადინეობის შემდეგ, ჩემმა კაცებმა ერთი ამ უცნაურ არსებათაგანი მოიყვანეს. ამ მაიმუნის მაგვარს ადამიანს გრძელი ხელები ჰქონდა, ჩამოშვებული მუცელი და მოკლე ფეხები, ისეთი, როგორიც მაიმუნებსა აქვთ. თავის ქალა მეტად პატარა ჰქონია, სამაგიეროდ ნიკაპი დიდი და უშნო. პირველად ეს უცნაური არსება ძალიან შიშობდა, მაგრამ ცოტა ხანს უკან დამშვიდდა. გამოვკითხე სპილოებისა და სხვა ნადირების შესახებ. მაიმუნის მაგვარმა კაცმა ამიწერა მხეცები და მაჩვენა, როგორ უნდა მათზედ ნადირობა. როგორცა სჩანს, აფრიკის სხვა ტომნი ზიზღით უყურებენ ამ უცნაურ ადამიანებს, რადგანაც ახლო არ იკარებენ. თვითონაც განკერძოებით სცხოვრობენ. მათი ტიპი ბევრად განსხვავდება აფრიკელ ზანგების ტიპისაგან. ერთის შეხედვითვე შეატყობთ, რომ მათ ადამიანობისა ცოტა რამ აცხიათ. სახესა, ტანსა, ხელებსა და ფეხებზედ გძელი ბალანი ასხიათ. გრძელი ხელები, ცოტა წინ წახრილი ტანი, პატარა მოუსვენარი თვალები და სახის უაზრო გამომეტყველება საოცრად აგონებს კაცს დარვინის იმ არსებათ, რომელთაგანაც კაცი უნდა წარმომდგარიყო. პიგმეები, ქონდრის კაცთა ტომი, რომელთაც დღემდე მაიმუნსა და ადამიანს შუა აყენებდნენ, ისეთივე აგებულება აქვთ, როგორც ამ მაიმუნის მაგვარ ადამიანებს, მაგრამ უფრო განვითარებულნი, მაგარნი და ინტელიგენტნი არიან, ვიდრე ეს უკანასკნელნი“.

* * *

მეტად უცნაური დუელი გაუმართავთ ამას წინად ორ ამერიკელ პოლკოვნიკს. ეს პოლკოვნიკები მატარებლით მიდიოდნენ თურმე კენტუკის შტატში. მეორე კლასის ვაგონი, სადაც პოლკოვნიკები მსხდარან, მგზავრებით ყოფილა სავსე. პოლკოვნიკებს, რაღაცაზედ ლაპარაკი მოსვლიათ, ყურადღება არ მიუქცევიათ ამოდენა ხალხისათვის, ერთი ვაგონის ერთ კარებთან დამდგარა, მეორე—მეორესთან და დაუწყვიათ რევოლვერებით სროლა. დაჭრილა ამ სროლის დროს კონდუქტორი და ექვსი მგზავრი, დანარჩენი მგზავრები დივნებ ქვეშ შემძვრალან. თვით მებრძოლთაგანი არც ერთი არ დაჭრილა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** 24 ოქტომბერს მდ. ამურზედ სახაროვსკთან ყინულმა ტელეგრაფის მავთულები გააფუჭა. ამის გამო ევროპის რუსეთსა და ხაბაროვსკს შუა ტელეგრაფი სამ დღეს არ მუშაობდა. წყალს აუარებელი ყინული მოაქვს და ამისათვის შეუძლებელია მავთულების გასწორება. დროებით მდინარის ნაპირზედ სატელეგრაფო სადგური გამართეს და ხაბაროვსკში გაგზავნილი დეპეშები, უეჭველია, დაიგვიანებენ ხოლმე.

**ჰელსინგფორსი.** „ფინლიანდიის გაზეთში“ მოთავსებულია გენერალ-გუბერნატორის ბრძანება, რომლის ძალითაც გუბერნატორებმა გენერალ გუბერნატორთანა და მისს კანცელარიასთან მიწერ მოწერა სახელმწიფო ენაზედ უნდა იქონიონ.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონის მთავრობის წრეებში გარდაწყვეტით უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომც შეერთებულს შტატებში მყოფს ჩინეთის ელჩს გერმანელების მოქმედების შესახებ პოატინფუში წინააღმდეგობა განეცხადებინოს.

**პარიჟი.** ნაფიც მსაჯულთა კრება დღეს განიხილავს სალსონის საქმეს, რომელსაც სპარსეთის შაჰის მოკვლა ჰქონდა განზრახული.

**ჯიბუთი.** „Gelderland“-ი სალამოთი პორტ-საიდში წავიდა. კრიუგერს მარსელში ჩამოსვამს.

29 ოქტომბერი

**პარიზი.** სალსონს სამუდამო კატორღა მიუსაჯეს.

**ვაშინგტონი.** კაბინეტმა გარდასწყვიტა დამცველი რაზმი პეკინში დასტოვოს, დანარჩენ ჯარის შესახებ-კი განკარგულება მოახდინა მანილაში-იქმნეს გადაყვანილი.

**ბერლინი.** პეკინიდგან იუწყება მთავარ-სარდალი, რომ დეზინტერია ყველგან შემცირდაო. პეკინში და ტიანძინში სახადი არ მოსპობილა.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იტყობინება იოჰანესბურგიდგან: „სმიტ დორიენისაგან ამბავი მომივიდა ძლიერის ბრძოლის შესახებ, რომელიც 24 და 25 ოქტომბერს მომხდარა. მისი რაზმი, 250 ცხენოსანისა, 6 ზარბაზანისა და 200 ქვეითა ჯარის-კაცისაგან შემდგარი, ბელფასტიდგან გამოსვლისთანავე ბურების რაზმს თურმე წააწყდა, რომელიც ინგლისელთ გაეკიდა და კომატერივერთან მივიდა. აქ ბურებმა დაიჭირეს სიმაგრე, რომლიდანაც ინგლისელებმა ბოლოს ისევ გარეკეს იგინი. მეორე დღეს ბურებს მაშველი ჯარი მოუვიდათ და ხელახლად შეეცადნენ იმ სიმაგრის დაჭერას, საიდგანაც წინა ღამეს ინგლისელებმა გარეკეს, მაგრამ ამაოდ. რობერტსის სიტყვით, 24 ოქტომბერს მომხდარა შემთხვევა, რომლის მაგალითიც ჯერ ამ ომის დროს სრულიად არა ყოფილა: 200 ცხენოსანი ბური უეცრად ინგლისის უკანა ჯარს თავს დაესხა. ბურები ზედმიწევნით 30 საჟენის მანძილიდგანვე გააბრუნა უკან კანადის დრაგუნის ჯარმა. ინგლისელებმა ორის დღის განმავლობაში დაჰკარგეს 8 კაცი მოკლული და 32 დაჭრილი“.

**შანჰაი.** ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ბრძანება გამოიცა ჩჟენსტუში, ჩჟეცზიანშანის პროვინციაში მომზადდეს იმპერატორის სამხლობისათვის სასახლე.

**ოდესა.** რუსეთის საზოგადოების გემის „ეკატერინე“-ს და რუსეთის საზოგადოების გემის „პეტრე“-ს დაჯახების შესახებ ოლქის სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოაცხადა, რომლითაც გემის „პეტრე“-ს კაპიტანის თანაშემწეს ჩუიკოს სამსახურიდგან დათხოვნა და ოთხის თვით დაპატიმრება მიუსაჯა, ზღვაოსანს ცვეტოვს—ორის თვით დაპატიმრება და საეკკლესიო მონანიება. გემის „ეკატერინე“-ს კაპიტანი ორლოვი გამართლებული იქმნა. ერთი საჩივარი 1,800 მანეთისა დაკმაყოფილებულ იქმნა, დანარჩენნი მორიგებით გადასწყვიტეს.

**ნიუ-იორკი.** ვაშინგტონში მყოფმა რუსეთის ფინანსთა სამინისტროს აგენტმა რუტკოვსკიმ გამოაცხადა, რომ რუსეთი ამ ჟამად არავითარ ახალ ხარჯების გაღებას არ ჰფიქრობს სამხედრო გემების შეძენისათვის და ამიტომ უსაფუძვლოდ უნდა ჩაითვალოს ის ხმა, რომ ვითომ რუსეთს ამერიკაში ოთხი ახალი სამხედრო გემი შეეკვეთოსო.

30 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატორი 26 ოქტომბერს „ინფლუენციით“ ავად გახდა; ავადმყოფობის მიმდინარეობა ნორმალურია, გაძნელება არ ეტყობა, თავს საკმაოდ კარგადა ჰგრძნობს; ამისა გამო ყოველდღიური ბიულეტენები არ დაიბეჭდება.

**პეკინი.** სამის მოხელის სიკვდილით დასჯამა და მათის თავების საჯაროდ გამოკიდვამ პაოტინფუში ადგილობრივს მცხოვრებლებზედ ძლიერად იმოქმედა.

**პეკინი.** მიუხედავად იმისა, რომ ელჩებმა განაცხადეს, — კრებებზედ სრული ერთ-სულოვნობა ჰსუფევს და აღძრული კითხვების შესახებ ყველანი ერთნაირად თანახმანი არიანო, სრული საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მოლაპარაკება ჯერ-ჯერობით ელემენტარულს კითხვებს არ გასცილებია და ზარალის აზღვევის შესახებ კითხვას ჯერ არ შეხებიან. ელჩები არავითარს ცნობებს არ იძლევიან იმის შესახებ, თუ მოლაპარაკების საქმეში რა გაუკეთებიათ. ეჭვი არ არის, ჩინეთის რწმუნებულებთან მოლაპარაკება ჯერ კიდევ დიდს ხანს გასტანს. მცოდნე და საქმეში დაკვირვებულ კაცთა აზრით შეუძლებელია საიმპერატორო სახლობა გადმოსახლდეს, ვიდრე მოკავშირეთა ჯარები პეკინში იმყოფებიან. ლიხუნგჩანგმა ჩინეთის იმპერატორისაგან ნოტა მიიღო, რომელშიაც იგი უარობს ტუნფუსიანის დასჯაზედ თანხმობას ვერ მივცემო; იმპერატორს მხოლოდ ისა ჰსურს, რომ იუსიენი შანსის გუბერნატორის თანამდებობიდგან დათხოვნილ იქმნეს; აღნიშნული ნოტა ფორმალურად ჯერ ელჩებისათვის არ გადაუციათ.

# ანცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ვაჟა ფშაველასი | 1 | „ |
| სხივი წარსულისა, ი. გოგებაშვილისა | „ | 5 |
| საარაკო თავ გადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | „ | 10 |
| ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა | „ | 30 |
| ამბავნი და მოთხრობანი, თარგ. გრ. ყიფშიძისა | „ | 15 |
| საქართველოს ძველის დროის თავ-გადასავალი | „ | 40 |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივაძისა | „ | 5 |
| შ. არაგვისპირელის თხზულებანი | „ | 50 |
| სიტყვიერების თეორია | 1 | „ |
| ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებანი | 1 | 50 |
| ვინ მოიგონა არაყი, ტოლსტოისა | „ | 5 |
| Заслуги грузинскаго монашества Е. К. | „ | 30 |
| Двѣнадцативѣковая борьба | „ | 50 |
| Грузинскіе поэты Тхоржевскаго | „ | 30 |
| Царица Тамара, М. Джанашвили | „ | 50 |
| Исторія грузинск. церкви, его же | „ | 40 |
| Грузинскія обители внѣ грузіи, его-же | „ | 25 |
| Письма о грузіи, Исарлова | „ | 80 |
| შოთა რუსთაველი და მისი ცოლი, ან. ფურცელაძისა | „ | 10 |
| სომხეთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადი | „ | 30 |
| ნამდვილი სამსახური, მოთ. | „ | 40 |
| Новая постановка педагог. дѣла въ учебн. завед. | „ | 20 |
| Назрѣвшій вопросъ (Ко дню столѣтія присоединенія грузіи къ Россіи), Е. К. | „ | 20 |
| თხზულებანი პუშკინისა | „ | 50 |
| სულიკო, აკაკისა | „ | 10 |
| სამი პოემა, ან. ფურცელაძისა | „ | 50 |
| მეზობლები | „ | 5 |
| მელის წიგნი, ანუ იგავ-არაკების კრებული, ვარდანასი | „ | 40 |

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია**: დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში. ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—211—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 го Октября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე